

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ნიადაგის დაცვის პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს მცირემიწიანი საქართველოს რესპუბლიკისათვის, სადაც ეროზიული პროცესების, ნიადაგის გაჭუჭყიანების და დანაგვიანების, მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები.

ნიადაგის დაცვა სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რადგან რესპუბლიკაში გავრცელებული ყველა ტიპის ნიადაგის, მათ შორის მწირი, მლაშე, დაჭაობებული, ბიცობი, მჟავე და ძლიერ დატენიანებული ნიადაგების სწორი და რაციონალური გამოყენება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ეკონომიკის დინამიკური განვითარების მთავარი რეზერვაა.

## მუხლი 2. კანონის მიზნები

ამ კანონის მიზნებია:

უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება;

განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად;

აღკვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საშუალებათა გამოყენებისას უარყოფითი შედეგები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის თვით ნიადაგს, ადამიანის ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას.

ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, მცენარეთა საფარისა და ცხოველთა სამყაროს, საერთოდ ბუნებრივი გარემოს დაცვის მიზნით ამ

კანონით წესდება ნიადაგში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ნორმები და სტანდარტები.

ნიადაგდაცვითი სამუშაო სტანდარტები და ნორმატიული დოკუმენტები უნდა შეესაბამოს ამ კანონს.

### **მუხლი 3. ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და საშუალებები**

ნიადაგდაცვითი ღონისძიებები და საშუალებებია:

ნიადაგის პასპორტიზაცია შესაბამისი პერიოდულობის დაცვით და ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავებადანერგვა;

ნიადაგის გამოფიტვის მიზნების, სამელიორაციო, მიკრობიოლოგიური, აგროქიმიური და გეობოტანიკური კვლევა, ბონიტირება და კადასტრის პერიოდულად შედგენა; ეროზიისაგან ნიადაგის დაცვისათვის ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკური, სატყეო-სამელიორაციო, ჰიდროტექნიკური, ნიადაგდაცვითი ღონისძიებების კომპლექსური შერჩევა;

ნიადაგის რესურსების დაცვა სტიქიური მოვლენებისაგან (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, ზვავი, მეწყერი) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში; სათიბ-საყოფრების ნიადაგის დაცვის, მათი ნაყოფიერების ამაღლებისა და მცენარეული საფარის გაუმჯობესების კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება;

სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების კარიერული წესით მოპოვების შედეგად დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაცია;

რადიონუკლიდებით, ტოქსიკური ნივთიერებებით და წარმოების სხვადასხვა ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან ნიადაგის დაცვა;

ნიადაგის ეტალონური ტიპების შენარჩუნება და აღკვეთილების მოწყობით მონიტორინგის ორგანიზაცია;

ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განლაგების სწორი სტრუქტურა;

ნიადაგის დამუშავების პროგრესიული აგროტექნოლოგიებისა და ეკოლოგიურად რულყოფილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, რწყვის, ნიადაგის მელიორაციის ეფექტიანი მეთოდებისა და ჰუმუსის ბალანსის რეგულირებისათვის თესლბრუნვის დანერგვა, ორგანული და მინერალური სასუქების, მელიორანტების გამოყენება.

#### **მუხლი 4. ნიადაგის დაცვის მიზნით დაწესებული აკრძალვები**

ნიადაგის დაცვის მიზნით იკრძალება:

ნაყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება; არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერი საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშნულებისამებრ გამოუყენებლად;

ტერიტორიის ღია კარიერული წესით დამუშავება, რომელიც არ ითვალისწინებს დარღვეული ნიადაგის რეკულტივაციას;

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ანგარებით ან პირადი სარგებლობის მიზნით;

ფერდობების დატერასება ნიადაგის შერჩევისა და სათანადო დაპროექტების გარეშე;

სადოვრების გამწირება უწესრიგო ძოვებით;

ტყით სარგებლობის დროს ნიადაგის საფარის დაზიანება;

მინდორსაცავი ტყის ზოლების გაკაფვა-გადაკეთება, ნიადაგდამცავ ნაგებობათა დაზიანება;

ყოველგვარი ქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს;

სასუქების, ქიმიური მელიორინტების და სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც არ არის გამოცდილი რესპუბლიკის პირობებში, არა აქვს გავლილი შესაბამისი ნიადაგურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა და არ არის შემოწმებული, რეგისტრირებული და ნებადართული შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ;

ნიადაგის ყოველგვარი გაჭუჭყიანება და დანაგვიანება.

#### **მუხლი 5. ნიადაგის დაცვის სფეროში მართვის ორგანოების ამოცანები საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგს იცავენ სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ:**

ამ კანონის მეორე მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას; ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების საშუალებათა წარმოებას, რესპუბლიკაში მათი შემოტანისა და გამოყენების ორგანიზაციას;

ნიადაგის დაცვის დარგში სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-სადიებო სამუშაოების განხორციელებას და ნიადაგის მონიტორინგის ორგანიზაციას;

ნიადაგის დაცვის კონცეფციის და პროგრამების შემუშავებას, ამ დარგში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას.

**მუხლი 6. ნიადაგის დაცვის სფეროში მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ნიადაგის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო ღონისძიებებს რაიონებში ახორციელებენ შესაბამისი ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან:**

მოითხოვონ და უზრუნველყონ მიწათმესაკუთრისა და მიწათმოსარგებლის მიერ ნიადაგის დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაოების აუცილებელი შესრულება;

განახორციელონ ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და კონტროლი გაუწიონ, რათა მიწათმოსარგებლენი და მიწათმესაკუთრენი იცავდნენ ნიადაგს და ასრულებდნენ დაწესებულ რეგლამენტს.

**მუხლი 7. ნიადაგის დაცვის სამუშაოთა დაფინანსება**

ნიადაგის დაცვის სამუშაოები დაფინანსდება სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში რესპუბლიკის ბიუჯეტის სახსრებით მიწათმესაკუთრებთან და მიწათმოსარგებლებთან პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე.

სახელმწიფო პროგრამითა და უშუალო ხელშეკრულებით განსახორციელებელი სამუშაოების სახეებსა და დაფინანსების წყაროებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

**მუხლი 8. ნიადაგის დაცვის კონტროლი**

ნიადაგის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას აკონტროლებენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

**მუხლი 9. პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესების დარღვევისათვის**

ნიადაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს შესაბამის ადმინისტრაციულ, სამოქალაქო-ქონებრივ ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**მუხლი 10. უცხოეთის კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენება**

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია ნიადაგის დაცვის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის

კანონმდებლობით დაგეგნილი წესებისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესები.

## **მუხლი 11. კანონში მოცემული ტერმინების განმარტება**

ნიადაგი - დედამიწის ფხვიერი ზედა ნაწილი, რომელიც შექმნილია ქანების, კლიმატის, ბიოსფეროს, რელიეფის ხნოვანების და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ურთიერთქმედებით.

ნიადაგის ეროზია - ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენების დაშლა, გაფანტვა და წყლით ჩამორეცხვა.

დაჭაობება - პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ნიადაგში ტენიანობის გაზრდის შედეგად, თან სდევს მცენარეულობის, მიკროფლორის, ჟანგვა-აღდგენის რეჟიმის შეცვლა, რკინის ქვეყანგის და დაუშლელი ორგანული ნივთიერების დაგროვება. დამლაშებული ნიადაგი - წყალში ხსნადი მარილებით მდიდარი ნიადაგი, რომელიც აბრკოლებს კულტურული მცენარეების განვითარებას.

ბიცობი - ნიადაგის ტიპი, რომელსაც პროფილში ნატრიუმისანი ჰორიზონტი გამოსახული აქვს ზედაპირიდან 100 სმ ფარგლებში.

მჟავე ნიადაგი - ნიადაგი, რომელსაც ახასიათებს ფუძეებით ნიადაგის მამღრობის დაბალი ხარისხი და მჟავე აქვს რეაქცია (PH 60-ზე).

ძლიერი ქვიანობა - ნიადაგის ზედაპირის 20-40 %-ით დაფარულობა 5 სმ და მეტი ზომის ქვებით.

ნიადაგის ბონიტირება - ნიადაგის, როგორც სოფლისა და სატყეო მეურნეობის წარმოების საშუალებების, ხარისხის შედარებითი შეფასება, გამოხატული რაოდენობრივი მაჩვენებლებით დაფუძნებული ნიადაგისა და მოსავლის დონის აღრიცხვაზე.

ნიადაგის ტიპი - ნიადაგის კლასიფიკაციის ძირითადი ტაქსონომიური ერთეული, მასში გაერთიანებული ნიადაგები ვითარდება ერთ ტიპურ ბიოლოგიურ, კლიმატურ და ჰიდროლოგიურ პირობებს.

ჰუმუსი - ნიადაგის სპეციალური და არასპეციალური ორგანული ნივთიერებების ერთობლიობა, მუქად შეფერილი უფორმო მასა, რომელიც არ შეიცავს ცოცხალ ორგანიზმებსა და მათი ნარჩენების ისეთ მინარევებს, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ უჯრედული აგებულება.

რადიონუკლიდები - ატომური იარაღის აფეთქების შედეგად ნიადაგში მოხვედრილი სხვადასხვა ქიმიური ელემენტები: Sr, Zn, J და სხვა.

ბიოსფერო - bios - სიცოცხლე, sphaiza - სფერო, აქტიური ცხოველმყოფელობის არეალი, რომლის შემადგენლობა, სტრუქტურა და ენერგეტიკა განპირობებულია ცოცხალი ორგანიზმების ცხოველმყოფელობით.

რეკულტივაცია - re - განმეორებითი, cultiva - მიწების ნაყოფიერებისა და სასოფლო-სამეურნეო თვისებების აღდგენის კომპლექსური სამუშაოები.  
მონიტორინგი - ნიადაგში მიმდინარე პროცესების ცვლილებებზე დაკვირვება დროსა და სივრცეში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

სახელმწიფოს მეთაური

*ედუარდ შევარდნაძე.*

საქართველოს პარლამენტის სპიკერი

*ვახტანგ გოგუაძე.*

თბილისი,

1994 წლის 12 მაისი.

**„ნიადაგის დაცვის შესახებ“  
საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, 118, მუხ. 368) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) უზრუნველყოს სუბალპური და ალპური მდელოების დაცვის გზით მაღალმთიანი რეგიონების ენდემური მცენარეულობისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნება.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტს სიტყვის „განხორციელება;“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად ნახირისა და ფარის ვერტიკალური ძოვების წესის დაცვა და მაღალმთიან სამოვრებზე დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებული რაოდენობით ნახირისა და ფარის ძოვების აკრძალვა, სამოვართა მორიგეობის, ე.წ. როტაციის დამკვიდრება;“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტს სიტყვის „რეკულტივაცია“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობით გამოწვეული ნიადაგისა და წყლის გაუვარგისების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

3. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები:

„მ) მაღალმთიან სამოვრებზე დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებული რაოდენობით ნახირისა და ფარის ძოვება, რაც იწვევს ეროზიულ პროცესებს;

ნ) მაღალმთიან რეგიონებში დეკასა და გადაშენების პირას მისული სხვა სუბალპური და ალპური მცენარეულობის საწვავად და სხვა მიზნით მოსახმარებლად მოპოვება.“.

4. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. მაღალმთიან სამოვრებზე ნახირისა და ფარის ვერტიკალური ძოვების წესის დარღვევისა და დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებული რაოდენობით ნახირისა და ფარის ძოვებით გამოწვეული ნიადაგის გაუვარგისებისათვის

პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით."

5. მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15–19 პუნქტები:

„15. მაღალმთიანი რეგიონები – ტერიტორიები, რომლებიც მოქცეულია იმ სოფლების, თემებისა და დაბების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

16. ნახირი – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

17. ფარა – წვრილფეხა პირუტყვი (ცხვარი, თხა).

18. მაღალმთიანი საძოვრები – მაღალმთიან რეგიონებში არსებული საძოვრები.

19. ვერტიკალური ძოვება – ნახირისა და ფარის ძოვება ჰიფსომეტრული სიმაღლის მიხედვით სხვადასხვა ზონებში."

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 მუხლი:

„მუხლი 12. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის საფუძველზე მიღებულ იქნეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანება „ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად მაღალმთიან საძოვრებზე ნახირისა და ფარის ვერტიკალური ძოვების წესის დამტკიცების შესახებ“;

ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანება „ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად მაღალმთიან საძოვრებზე ნახირისა და ფარის ძოვებისას და გადაადგილებისას მათი რიცხოვნობის ზღვრული რაოდენობების დამტკიცების შესახებ“;

გ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის და საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთობლივი ბრძანება „მაღალმთიან რეგიონებში სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობით გამოწვეული ნიადაგისა და წყლის გაუვარვისების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გაანგარიშების მეთოდის დამტკიცების შესახებ“;

დ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის და საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ერთობლივი ბრძანება „მაღალმთიან რეგიონებში საწვავად და სხვა მიზნით მოხმარებისათვის აკრძალული სუბალპური და ალპური მცენარეულობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“;

ე) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთობლივი ბრძანება „მაღალმთიან რეგიონებში ეროზირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უბნების იდენტიფიკაციის, მათი სამიწათმოწყობო და მიწის საბალანსო დოკუმენტებსა და კარტოგრაფიულ მასალებზე დატანის წესის დამტკიცების შესახებ“.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები მიღებულ იქნეს 2003 წლის 1 იანვრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,  
2002 წლის 19 ნოემბერი.

**საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში  
ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., 118, მუხ. 368) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“, „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საქართველო“, „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება“.
2. მე-7 მუხლის პირველ აბზაცში სიტყვა „რესპუბლიკის“ შეიცვალოს სიტყვით „ცენტრალური“.
3. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აბზაცისაგან, ისინი დაინომროს თანამიმდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების აბზაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

II. „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., 1121-22, მუხ. 450) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“.
2. მე-2 მუხლის ბოლო აბზაცში სიტყვა „რესპუბლიკური“ შეიცვალოს სიტყვით „შიდასახელმწიფოებრივი“.
3. მე-3 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვა „რესპუბლიკური“ შეიცვალოს სიტყვით „ცენტრალური“;

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 აბზაცში სიტყვა „რესპუბლიკური“ შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“.

4. კანონის ტექსტში მუხლთა პუნქტების აბზაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.

III. „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995 წწ., <sup>11</sup>27-30, მუხ. 635) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველოს“.
2. კანონის ტექსტში სიტყვა „მთავრობა“ შეიცვალოს სიტყვებით „აღმასრულებელი ხელისუფლება“, ხოლო სიტყვები „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა“ – სიტყვებით „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები“.
3. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აზნაცისაგან, ისინი დაინომროს თანამიმდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების აზნაცების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით და ჩაითვალოს ქვეპუნქტებად.
4. პირველი მუხლის მე-8 პუნქტში სიტყვა „დადგენილებების“ შეიცვალოს სიტყვებით „ნორმატიული აქტების“.
5. მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები „სასაზღვრო ჯარების“ და „უშიშროების სამსახურის“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის“, „სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს“.
6. მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა „რესპუბლიკური“ შეიცვალოს სიტყვით „სახელმწიფო“, ხოლო „დ“ ქვეპუნქტში – სიტყვით „საქართველოს“.
7. 24-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  - „1. საქართველოს ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნები და საწარმოები აწარმოებენ მხოლოდ ვეტერინარულ პრეპარატებს სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც შედგენილია საერთაშორისო ტექნოლოგიური პროცესებისა და სტანდარტების დაცვით.
  2. საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული ვეტერინარული პრეპარატების ხარისხისადმი უშუალო კონტროლს აწესებს ვეტერინარული პრეპარატების სამეცნიერო-საკონსულტაციო ცენტრი.“

8. 27-ე მუხლში სიტყვები „სასაზღვრო ჯარების“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის“, ხოლო სიტყვა „სამსახურის“ - სიტყვით „სამინისტროს“.

9. 30-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში სიტყვა „საზღვარგარეთის“ შეიცვალოს სიტყვით „უცხო“, ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტში სიტყვები „რესპუბლიკის მმართველობის ცენტრალური“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების“.

10. მე-40 მუხლის მეორე პუნქტში სიტყვა „რესპუბლიკის“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველოს“.

IV. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,  
1997 წლის 16 სექტემბერი.